აქციის აღწერა

წინამდებარე განცხადებით აღწერილ აქციაში [შემდგომში „აქცია“] მონაწილეობის მისაღებად მომხმარებელმა დღის განმავლობაში ჯამურად უნდა გააკეთოს 10[ათი] ლარის დეპოზიტი შპს „ბეთლაივის“ ვებ გვერდზე www.betlive.com -ზე. დეპოზიტის განთავსების შემდეგ, მომხმარებელმა უნდა აირჩიოს კითხვების სასურველი რაოდენობა და თუ ყველა არჩეულ კითხვას სწორად გასცემს პასუხს, ასეთ შემთხვევაში მომხმარებელი დასაჩუქრდება შესაბამისი რაოდენობის Freespins[უფასო სპინებით]. მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მოიგოს ერთჯერადად არაუმეტეს 10 000 უფასო სპინი თითოეული გამოკითხვის წარმატებით დასრულების შემთხვევაში. უფასო სპინების რაოდენობა და მიღების წესი დეტალურად არის აღწერილი წინამდებარე აქციის წესებით.

წინამდებარე აქციაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის მოთამაშეები, რომლებიც www.betlive.com -ზე რეგისტრირებულნი არიან და გავლილი აქვთ იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის პროცედურები [მათ შორის SMS ვერიფიკაცია] საქართველოს კანონმდებლობისა და შპს „ბეთლაივის“ წესების შესაბამისად.

აქცია დაიწყება 2024 წლის 15 ივლისს და გაგრძელდება 2026 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების წესი:

წინამდებარე განცხადებით გათვალისწინებული აქციაში მონაწილეობის მისაღებად, მომხმარებელმა ერთი კალენდარული დღის განმავლობაში, ჯამურად უნდა განათავსოს 10[ათი] ლარის დეპოზიტი შპს „ბეთლაივის“ ვებ გვერდზე www.betlive.com -ზე და მხოლოდ ამის შემდეგ ექნება შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა გამოკითხვაში.

მომხმარებელს გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების უფლება ექნება მას შემდეგ რაც მისი დეპოზიტის ჯამური ოდენობა მიაღწევს 10[ათი] ლარს. ამასთან გამოკითხვაში მონაწილეობის წინაპირობაა მხოლოდ დეპოზიტის განთავსება, იმის მიუხედავად, თუ ორგანიზატორის რომელ პროდუქტში გახარჯავს მომხმარებელი ამ თანხას, ან გათამაშების გარეშე განახორციელებს თუ არა თანხის გატანას. მაგალითად, მომხმარებელს შეუძლია დეპოზიტი განათავსოს 10[ათი] ლარის ოდენობით და შემდეგ გაიტანოს შემოტანილი თანხა ან გახარჯოს მაგალითად სლოტის პროდუქტში. ამის მიუხედავად მომხმარებელს მაინც ექნება შესაძლებლობა ჩაერთოს გამოკითხვაში.

გამოკითხვის დაწყებამდე, მომხმარებელმა უნდა აირჩიოს კითხვების სასურველი რაოდენობა, არანაკლებ 4[ოთხი] და არაუმეტეს 10[ათი] კითხვისა. მომხმარებელი უფასო სპინებს მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სწორად გასცემს პასუხს ყველა არჩეულ კითხვაზე. მაგალითად, თუ მომხმარებელმა აირჩია 5[ხუთი] კითხვა ასეთ შემთხვევაში, იგი მხოლოდ მაშინ მიიღებს უფასო სპინებს თუ ხუთივე კითხვას სწორად გასცემს პასუხს. პასუხი სწორად გაცემულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი გამოიცნობს გასამართი სპორტული შეჯიბრის კონკრეტულ პოზიციას.

კითხვების ჩამონათვალი ვებ გვერდზე განთავსდება ყოველი დღის 00:01 საათზე.

მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს ორგანიზატორის მიერ გამოტანილი 10[ათი] კითხვიდან არანაკლებ 4[ოთხი] და არაუმეტეს 10[ათი] კითხვა.

თუ მომხმარებლის მიერ არჩეული კითხვა გაბათილდება, მაგრამ სხვა კითხვებზე დაფიქსირებული პასუხი იქნება სწორი, ასეთ შემთხვევაში მომხმარებელი მიიღებს სწორად გამოცნობილი კითხვების შესაბამის უფასო სპინებს.

მაგალითად: თუ მომხმარებელმა აირჩია 9[ცხრა] კითხვა და სპორტული შეჯიბრების გადადების ან/და გაუქმების გამო გაბათილდა ერთი კითხვა, ხოლო დარჩენილ 8[რვა] კითხვას მომხმარებელი სწორად გასცემს პასუხს, ასეთ შემთხვევაში მომხმარებელი მოიგებს 8[რვა] კითხვისთვის განკუთვნილ უფასო სპინების რაოდენობას, კერძოდ 1000[ათასი] უფასო სპინს. [პრიზები არის ფიქსირებული და მოცემულია მომდევნო თავში]

კითხვის გაბათილების შემთხვევაში, მომხმარებელი გამარჯვებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაბათილებული კითხვების გამოკლებით მომხმარებელი სწორად უპასუხებს სულ მცირე 4[ოთხი] კითხვას.

მაგალითად: თუ მომხმარებლის მიერ არჩეული 4[ოთხი] კითხვიდან გაბათილდება რომელიმე 1[ერთი] კითხვა, ასეთ შემთხვევაში მომხმარებელი წაგებულად ჩაითვლება, მიუხედავად იმისა, დარჩენილ სამ კითხვას სწორად გასცა თუ არა პასუხი.

შენიშვნა N1:

*ყოველი კალენდარული დღის განმავლობაში მომხმარებლის მიერ განთავსებული 10[ათი] ლარიანი დეპოზიტის შემთხვევაში, მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება გამოკითხვაში მიიღოს მონაწილეობა მხოლოდ ერთჯერადად მიუხედავად იმისა, თუ დღის განმავლობაში რამდენჯერ განახორციელებს ჯამში 10[ათი] ლარის დეპოზიტს.

ჯამური 10[ათი] ლარიანი დეპოზიტის დათვლის მიზნებისათვის ყოველი დღის 23:59 საათზე განულდება მომხმარებლის მიერ მიმდინარე დღეს განთავსებული დეპოზიტების რაოდენობა და მომდევნო დღის 00:01 საათზე ახლიდან დაიწყება ათვლა.

მაგალითად: 2024 წლის 17 ივლისს მომხმარებლის მიერ განთავსებული დეპოზიტების რაოდენობა განულდება 23:59 საათზე და 2024 წლის 18 ივლისის 00:01 საათზე ახლიდან დაიწყება 10 ლარიანი ჯამური დეპოზიტის ათვლა.

მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება გამოკითხვაში მიიღოს მონაწილეობა იმ დრომდე, სანამ ორგანიზატორის მიერ შედგენილი კითხვები იქნება აქტიური. მაგალითად, თუ ორგანიზატორის მიერ შედგენილი კითხვები უკავშირდება ისეთ სპორტულ შეჯიბრებებს, რომელთაგანაც არანაკლებ 4[ოთხი] სპორტული შეჯიბრება იწყება 23:00 საათზე, ასეთ შემთხვევაში, მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღოს 23:00 საათამდე.

აქციის ბოლო დღესაც იმოქმედებს იგივე პრინციპი, აქციის ბოლო დღეს განთავსებული 10[ათი] ლარიანი დეპოზიტის შემთხვევაში, მომხმარებელს გამოკითხვაში მონაწილეობის მიღება შეეძლება, იმ

დრომდე, სანამ არ დაიწყება არანაკლებ 4[ოთხი] სპორტული შეჯიბრება, რომელთან დაკავშირებითაც შედგენილი არის კითხვები.

კითხვა შესაძლებელია გაბათილდეს იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი მიზეზით გადაიდო ან/და გაუქმდა ის კონკრეტული სპორტული შეჯიბრება, რომლის შესახებაც კითხვა[კითხვები] იყო შედგენილი.

გამოკითხვაში მონაწილეობის მისაღებად, განთავსებული დეპოზიტის გათამაშება სავალდებულო არ არის.

პრიზები

წინამდებარე აქციით გათვალისწინებულ გამოკითხვაში ყველა კითხვაზე სწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მოიგოს კონკრეტული რაოდენობის უფასო სპინები. მაგალითად: თუ მომხმარებელი შეთავაზებული კითხვებიდან აირჩევს 5 სასურველ კითხვას და ხუთივე კითხვას სწორად გასცემს პასუხს, ასეთ შემთხვევაში მომხმარებელი დასაჩუქრდება 100 [ასი] უფასო სპინით.

4/4 სწორი პასუხი: 50 FREESPINS
5/5 სწორი პასუხი: 100 FREESPINS
6/6 სწორი პასუხია: 200 FREESPINS
7/7 სწორი პასუხი: 500 FREESPINS
8/8 სწორი პასუხი: 1000 FREESPINS
9/9 სწორი პასუხი: 3000 FREESPINS
10/10 სწორი პასუხი: 10 000 FREESPINS

ტერმინთა განმარტება:
Freespins - უფასო სპინი

შენიშვნა N2:
გამოკითხვის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მომხმარებელს უფასო სპინები დაერიცხება მომენტალურად.

მომხმარებლებს შეუძლია მიღებული უფასო სპინები გადაცვალონ მათთვის სასურველ ნომინალში და სასურველ პროვაიდერში - დარიცხვიდან არაუმეტეს 72[სამოცდათორმეტი] საათის განმავლობაში.

თითოეული უფასო სპინის ღირებულება შეადგენს 0.15[თხუთმეტი თეთრი] ლარს.

მომხმარებლის მიერ სასურველ ნომინალსა და პროვაიდერში გადაცვლილი უფასო სპინები აქტიურია 48[ორმოცდარვა] საათის განმავლობაში. თუ მომხმარებელი სასურველ ნომინალში გადაცვლილ უფასო სპინებს არ გამოიყენებს გადაცვლიდან 48[ორმოცდარვა] საათის გამავლობაში, ასეთ შემთხვევაში, მას აღარ მიეცემა უფასო სპინების გამოყენების საშუალება.

დამატებითი წესები და პირობები:

- Betlive.com იტოვებს უფლებას, ნებისმიერ დროს შეცვალოს აქციის წესები და პირობები, შეწყვიტოს ან გააუქმოს მიმდინარე აქცია ნებისმიერ ეტაპზე და ამის შესახებ წინასწარ არ შეატყობინოს მომხმარებლებს.
- ნებისმიერი სადავო სიტუაციის წარმოშობის შემთხვევაში კომპანია betlive.com იტოვებს უფლებას, თავად მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.
- იმ შემთხვევაში თუ მომხმარებლის მხრიდან დაფიქსირდება არასამართლიანი / არაკეთილსინდისიერი ქმედება, ან თუ აქციის პირობები სრულად არ იქნება დაცული, betlive.com იტოვებს უფლებას, მომხმარებელს არ გადასცეს პრიზი.
- ტექნიკური ხარვეზის შედეგად მიღებული ნებისმიერი პრიზი ან/და მოგება ანულირდება და მომხმარებელს არ აქვს უფლება ორგანიზატორისგან მოითხოვოს ტექნიკური ხარვეზის შედეგად მიღებული ნებისმიერი პრიზისა ან/და მოგების გადაცემა.